**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №141**

ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე №NAT190006726

ქალაქი ქუთაისი 25 აპრილი 2019 წელი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია**
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიას სახით,
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: №300 180 000
**(შემდგომში შემსყიდველი)**

და მეორეს მხრივ,
**შ.პ.ს „ახალგაზრდობის საერთაშორისო ჯგუფი“**
წარმოდგენილი **შ.პ.ს „ახალგაზრდობის საერთაშორისო ჯგუფი“-ს დირექტორის, სალომე ბენდიანიშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილის, თამარაშვილის 17 ა
საიდენტიფიკაციო ნომერი: №400225038
ტელეფონის ნომერი: +995 558-39-05-00
ელექტრონული ფოსტა: office.youthgroup@gmail.com
საბანკო რეკვიზიტი: ს.ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE93TB7189436080100008
**(შემდგომში მიმწოდებელი)**

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $16^1$ მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის **(NAT190006726)** შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 „მომსახურება“– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ **აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია,** რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ქალაქობის დღესასწაული „ორმაისობა“-ს ორგანიზება.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (ფასების ცხრილი და ესკიზები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).
2.3 კლასიფიკატორის კოდი – 79900000, 79952000.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 40500 (ორმოცი ათას ხუთასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი“.

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ სიტყვიერად აცნობებს ,,მიმწოდებელს“ დაწუნებული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 „მიწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქობის დღესასწაული „ორმაისობა“-ს ორგანიზება 2019 წლის 2 მაისს, 12:00 სთ-დან 24:00 სთ-მდე.

5.2. მიმწოდებელმა შემსყიდველის კუთვნილი მოლბერტების, მაგიდების, დეკორაციების, ტენტის, სასცენო კონსტრუქციის ტრანსპორტირება, შემდეგი მისამართიდან: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის N105, შესაბამის საგამოფენო სივრცეში მიწოდება (2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე), ღონისძიების შემდეგ ალაგება და უკან ტრანსპორტირება იგივე მისამართზე. ასევე არსებული საკონცერტო სცენის მონტაჟი–დემონტაჟი (სცენის ფართობი – 9X6მ; სიმაღლე ჭერამდე – 4,75მ; სიმაღლე მიწიდან სცენამდე – 1,25 მ; გადახურვა – 9X6მ; ფრთები დინამიკებისათვის (გადახურვით) 2019 წლის 2 მაისს, გარდა სცენისა. სცენის დემონტაჟი უნდა მოხდეს 2019 წლის 5 მაისამდე.

5.3. დეკორაციების, გარდა დროშებისა, დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე, ხოლო დროშებისა დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2019 წლის 1 მაისამდე.

5.4. დეკორაციების დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 2, 3 და 5 მაისს, შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე.

5.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ქალაქობის დღესასწაული „ორმაისობა“-ს ფარგლებში უზრუნველყოს:
5.5.1 ღია ცის ქვეშ დაგეგმილი ღონისძიებების კოორდინაცია და რეჟისურის შეთანხმება შემსყიდველთან.

5.5.2 შემსყიდველის კუთვნილი მოლბერტების, მაგიდების, დეკორაციების, ტენტის, სასცენო კონსტრუქციის ტრანსპორტირება, შემდეგი მისამართიდან: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. N105-დან, შესაბამის საგამოფენო სივრცეში მიწოდება, ღონისძიების შემდეგ ალაგება და უკან ტრანსპორტირება იგივე მისამართზე. ასევე არსებული საკონცერტო სცენის მონტაჟი–დემონტაჟი (სცენის ფართობი – 9X6მ; სიმაღლე ჭერამდე – 4,75მ; სიმაღლე მიწიდან სცენამდე – 1,25 მ; გადახურვა – 9X6მ; ფრთები დინამიკებისათვის (გადახურვით).

5.5.3 ქალაქის დღესასწაულის აღნიშვნის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისთვის დიზაინერის (ნატა ელბაქიძე) მომსახურება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ღონისძიების (ქალაქური სალონური კულტურის ამსახველი კუთხეები, წიგნების პავილიონი, ფემინისტების პავილიონი, სადღესასწაულო დროშები, ფრანგული ცხოვრების ამსახველი კუთხე დროებითი გამოყენების შესაბამისი დეკორაციებით) - ესთეტიკური მხარე, შემსყიდველთან შეთანხმებით. მან უნდა წარმოადგინოს დიზაინერული გადაწყვეტის საკუთარი ხედვა.

5.5.4 საღამოს და მუხნარის ტყის კონცერტების წამყვანებით მომსახურება (ნანა ქოქიაშვილი, დავით ერაძე, ვლადიმერ ჯანელიძე).

5.5.5 პარიზულ მოტივებზე პერფომანსის წარმოდგენა, შესაბამისი კოსტუმებით. ხანგრძლივობა არანაკლებ 60 წთ. მინიმუმ 20 მსახიობის მონაწილეობით. პერფომანსის ლოკაციის, სცენარის და კოსტუმების შეთანხმება უნდა მოხდეს შემსყიდველთან.

5.5.6 ქართველი ქალი (რაოდენობა 4) მწერლის მომსახურება (ნინო თარხნიშვილი, თამთა მელაშვილი, თეონა დალენჯაშვილი, ანა კორძაია), რომლებიც განასახიერებენ კატო მიქელაძეს, მინადორა ორჯონიკიძეს, მარიამ ყაუხჩიშვილს, ქრისტინე შარაშიძეს.

5.5.7 სპიკერის მომსახურება (დავით ტურაშვილი), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქალაქობის დღესასწაულის საზეიმოდ სიტყვით გახსნა. ტექსტის შეთანხმება უნდა მოხდეს შემსყიდველთან.

5.5.8 ლიტერატურული პერფომანსი, 25-დან 60 წლამდე ასაკის, პოპულარული ქართველი 4 მწერლის მონაწილეობით. თითოეულმა მწერალმა უნდა შექმნას ჩანახატი ქუთაისზე და წარმოადგინოს ლიტერატურული პერფომანსი შემსყიდველის მიერ მითითებულ ლოკაციაზე. პერფომანსის ხასიათის და ხანგრძლივობის შეთანხმება უნდა მოხდეს შემსყიდველთან.

5.5.9 დიდი ზომის წიგნების ბუტაფორიების დამზადება და განთავსება შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში (მყარი მასალა, ,,დსპ'' ფილა არალამინირებული არანაკლებ 6მმ, ბუტაფორია უნდა იყოს გამაგრებული მეტალის კონსტრუქციით, ზომა არანაკლებ 3მX1,50X0,60სმ - 6 ცალი, წიგნებზე უნდა განთავსდეს წარწერები შემსყიდველთან შეთანხმებით, შეღებილი ყავისფერ ტონალობებში, ტონალობები დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით (მაქსიმალურად მიახლოებული ესკიზთან, იხ. ესკიზი N1)

5.5.10 დროშების დამზადება და განთავსება შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში (მასალა, გარემოხმარების სადროშე ბადექსოვილი ცალმხრივი ბეჭდვა, ირგვლივ დამუშავებული გვირისტებით, დროშის ზედა ნაწილი ბაგირისათვის უნდა

იყოს არაუმეტეს 1,50სმ, დროშის ზომა 0,80სმX1.20სმ - რაოდენობა არანაკლებ 80 ცალი. ბაგირის სისქე არანაკლებ 2 სმ , ბაგირის საერთო სიგრძე არანაკლებ 100 მ. (იხ.ესკიზი N2)

5.5.11 ქაფმუყაოზე ამოჭრილი ქალის ფიგურის სილუეტი გადაკრული გლუვი სტიკერით, ორმხრივი ბეჭდვა. სტიკერის რაოდენობა 20 ცალი, სილუეტის რაოდენობა 10 ცალი, შემოსაზღვრული ლითონის მავთულებით, თითეული ფიგურის სიმაღლე არანაკლებ 1,70X45სმ, თითოეული ფიგურა უნდა იყოს გამაგრებული მეტალის კონსტრუქციით, დიზაინი დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით, მაქსიმალურად მიახლოებული ესკიზთან (იხ.ესკიზი N3).

5.5.12 ჩარჩოს დამზადება - დეკორატიული, რაოდენობა 1 ცალი, მასალა ხე, ტონალობა დიზაინერთან შეთანხმებით, გლუვი ფერი, არანაკლებ 1,80სმX1,60X20 სმ; მონტაჟი-დემონტაჟი (იხ.ესკიზი N4)

5.5.13 ქაფმუყაოზე გადაკრული სტიკერის მიწოდება - ფორმატი - A1, სისქე - 5 მმ. , რაოდენობა - 15 ცალი, განთავსება (თოკებით დაკიდება) - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. დასაბეჭდი მასალა მიწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ. დასაბეჭდი მასალის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მიერ.

5.5.14 ქაფმუყაოზე გადაკრული სტიკერი - ფორმატი - A2, სისქე - 5 მმ., რაოდენობა - 5 ცალი, განთავსება (თოკებით დაკიდება) - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. დასაბეჭდი მასალა მიწოდებული იქნება შემსყიდველის მიერ. დასაბეჭდი მასალის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მიერ.

5.5.15 ლიანდაგის იმიტაციის დამზადება - მუქ ყავისფერ ტონალობაში შეფერილი ხის ფიცრები, ლიანდაგის მთლიანი სიგრძე არანაკლებ 8მ, ფიცრის ზომა არანაკლებ 0,30სმX1,20მ; ლითონის მილკვადრატების (პარამეტრენი შემსყიდველთან შეთანხმებით) მთლიანი სიგრძე არანაკლებ 8მ, (ესკიზი N5)

5.5.16 ბანერის დამზადება, რეტრო ორთქლმავლის გამოსახულებით ოთხად დანაწევრებული, მასალა ვინილი, არანაკლებ 380 გრამი, ფერადი ბეჭდვა, სრულფერიანი, დამაგრებული ხის ჩარჩოებზე, ზომები (7მX1,50მ- რაოდენობა 2; 5მX1,50მ - რაოდენობა 2) განთავსება შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში. დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით, (ესკიზი N6)

5.5.17 ბანერის დამზადება, ლენტის ფორმის დეკორაციის ფორმით, მასალა ვინილი, არანაკლებ 380 გრამი, ფერადი ბეჭდვა, სრულფერიანი, რაოდენობა 60 ცალი, 3მX30სმ, თოკისთვის განკუთვნილი ზედა მხარე დამუშავებული გვირისტით (ზომა არანაკლებ 1 სმ); წვრილი თოკი - საერთო სიგრძით არანაკლებ 100 მ, ბანერების განთავსება შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე, მასალის დიზაინი დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით (ესკიზი N 7 )

5.5.18 ბოლის მანქანით მომსახურება არანაკლებ 1000 W, 1 ცალი

5.5.19 მუსიკალური გაფორმება - 1-2 კვტ. სიმძლავრის აპარატურა, სიხშირული დიაპაზონი - 50 ჰერციდან 18 კილოჰერცამდე, შესაბამისი აღჭურვილობით, 2 მიკროფონი, ხმის რეჟისორის მომსახურება - რაოდენობა 4 ლოკაცია.

5.5.20 საჰაერო შოუს მსახიობების მომსახურების მომსახურება. 2 პერსონა, შესაბამისი ჩაცმულობით, თოკებით და სხვადასხვა ფერის კვამლით. მინიმუმ 10 წთ-იანი შოუს მოწყობა.

5.5.21 ქალაქის ცენტრალურ ნაწილში პროექტორით ანიმაციური ვიდეორგოლის ჩვენება-გახმოვანება. ვიდეორგოლის მახასიათებლები- მაღალი ხარისხის ვიდეო ინფო გრაფიკები, რგოლი უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ სრულყოფილ ვიდეოს, რომელსაც ექნება დასაწყისი და დასასრული. ვიდეოს გამოყენება მოხდება ხმით, ვიდეო უნდა იყოს full HD გაფართოების MPEG4 ფორმატში. შესაძლებელი უნდა იყოს მოთხოვნის შესაბამისად სხვა ფორმატში კონვერტირება. ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წთ - არაუმეტეს 5 წთ, ვიდეორგოლის თემატიკა შემსყიდველთან შეთანხმებით.

5.5.22 შემდეგი მახასიათებლების მქონე პროექტორით მომსახურება. ჩიპის რეზოლუცია 1.024X768 ან 1.400X1.050 pixel ნათების სიმძლავრე მინიმუმ 20.000 -30.000 luminance, კონტრასტულობა 10.000:1, ოპტიკა (2.5:5.1:1) ან ზემოთ.

5.5.23 ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 3 განზომილებიანი (3D) ჰოლოგრამული გამოსახულების კომპიუტერული პროგრამის დამზადება და პროგრამულად გამართვა. ტექნიკური მახასიათებლები: მონიტორი (4 ცალი) მაღალი რეზოლუციით და სიკაშკაშით); კომპიუტერი მაღალი გრაფიკული მხარდაჭერით (1 ცალი), გაჯეტები (სპლიტერი, ქასთი, დატა სადენები) შესაბამისი რაოდენობის, სპეც.განათება (5ცალი), აკრილი გამჭვირვალე 10 კვ,მ; სპეც.მინა 8კვ.მ; კარკასი 30 გრძივი მეტრი. სინათლეგაუმტარი ქსოვილი, პრიალა, ფერი შავი, 6მX6მ ტენტზე განსათავსებლად. ჰოლოგრამის თემატიკა, დიზაინი და ადგილი შემსყიდველთან შეთანხმებით.

5.5.24 20 გიმნაზისტი გოგონასთვის მოსასხამებისა და ბაფთების დამზადება მასალა - თეთრი ატლასი, მოსასხამის დიამეტრი - 85 სმ, ბოლოები უნდა იყოს დამუშავებული ირიბი ატლასის ლენტით. ბაფთების სიგრძე - არანაკლებ 20 სმ-სა,დასამაგრებლად უნდა იყოს გამოყენებული თმის სარჭი.

5.6 „მიწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქობის დღესასწაული „ორმაისობა“-ს ორგანიზება ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში, 6 (ექვსი) ლოკაციაზე.

5.7 სცენარის მიწოდება და შეთანხმება და ასევე დიზაინერული გადაწვეტა უნდა მოხდეს „შემსყიდველთან“ შეთანხმებით.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 ,,შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ.

6.2 „შემსყიდველი“–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.3 მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება.

6.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება;

ბ) საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი;

7.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.

7.3 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი - 100%, პროგრამა-„ქალაქობის დღესასწაული ორმაისობა (კვირეული)".

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში(ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## 10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

11.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

11.5 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

11.6 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, მხარე გადაიხდის პირგასამტეხლოს, 16200 (თექვსმეტი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

11.7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის" დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
11.8 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ;
12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2019 წლის 6 ივნისის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

Kutaisi City Municipality

Digitally signed by Kutaisi City Municipality
DN: cn=Kutaisi City Municipality, 2.5.4.97=NTRGE-212721170, o=·····, c=GE
Date: 2019.05.01 11:06:35 +04'00'

Kutaisi City Municipality

Digitally signed by Kutaisi City Municipality
DN: cn=Kutaisi City Municipality, 2.5.4.97=NTRGE-212721170, o=·····, c=GE
Date: 2019.04.25 11:05:47 +04'00'

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ახალგაზრდობის საერთაშორისო ჯგუფი"-ს დირექტორი

______________________

სალომე ზენდიანიშვილი

ფასების ცხრილი

| № | დასახელება | მომსახურების გაწევის პირობები და მოთხოვნები | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება ₾ | საერთო ღირებულება ₾ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტექნიკური პერსონალის მომსახურება | შემსყიდველის კუთვნილი მოლბერტების, მაგიდების, დეკორაციების, ტენტის, სასცენო კონსტრუქციის ტრანსპორტირება, შემდეგი მისამართიდან: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის N105, შესაბამის საგამოფენო სივრცეში მიწოდება, ღონისძიების შემდეგ ალაგება და უკან ტრანსპორტირება იგივე მისამართზე. ასევე არსებული საკონცერტო სცენის მონტაჟი–დემონტაჟი (სცენის ფართობი – 9X6მ; სიმაღლე ჭერამდე – 4,75მ; სიმაღლე მიწიდან სცენამდე – 1,25 მ; გადახურვა – 9X6მ; ფრთები დინამიკებისათვის (გადახურვით). 2019 წლის 2 მაისს, გარდა სცენისა. სცენის დემონტაჯი უნდა მოხდეს 2019 წლის 5 მაისამდე. | 6 პირი | 200 | 1200 |
| 2 | რეჟისორის მომსახურება | უნდა უზრუნველყოს ღონისძიებების კოორდინაცია და მართვა შემსყიდველთან შეთანხმებით | 1 პირი | 500 | 500 |
| 3 | დიზაინერის მომსახურება - ნატა ელბაქიძე | უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ღონისძიების (ქალაქური სალონური კულტურის ამსახველი კუთხეები, წიგნების პავილიონი, ფემინისტების პავილიონი, სადღესასწაულო დროშები, ფრანგული ცხოვრების ამსახველი კუთხე დროებითი გამოყენების შესაბამისი დეკორაციებით) - ესთეტიკური მხარე, შემსყიდველთან შეთანხმებით. | 1 პირი | 400 | 400 |
| 4 | ქალი წამყვანის მომსახურება (ნანა ქოქიაშვილი: | საღამოს და მუხნარის ტყის კონცერტების წამყვანების მომსახურება, 1 ქალი - 20-დან 35 წლამდე და 2 მამაკაცი 25-დან 35 წლამდე. 2019 წლის 2 მაისი, დრო "შემსყიდველთან" შეთანხმებით. | 1 პირი | 700 | 700 |
| | მამაკაცი წამყვანის მომსახურება (დავითი ერაძე: | | 1 პირი | 700 | 700 |
| | მამაკაცი წამყვანის მომსახურება ვლადიმერ ჯანელიძე: | | 1 პირი | 700 | 700 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | პარიზულ მოტივებზე პერფომანსის წარმოდგენა | პარიზულ მოტივებზე პერფომანსის წარმოდგენა, შესაბამისი კოსტუმებით. ხანგრძლივობა არანაკლებ 60 წთ. მინიმუმ 20 მსახიობის მონაწილეობით. პერფომანსის ლოკაციის, სცენარის და კოსტუმების შეთანხმება უნდა მოხდეს შემსყიდველთან. 2019 წლის 2 მაისი | 1 დღე | 2500 | 2500 |
| 6 | ქართველი მწერლების მოწვევა 1 - ნინო თარხნიშვილი 2-თამთა მელაშვილი 3-თეონა დოლენჯაშვილი 4- ანა კორძაია | ქართველი ფემინისტი ქალი (რაოდენობა 4) მწერლების მომსახურება, რომლებიც განასახიერებენ კატო მიქელაძეს, მინადორა ორჯონიკიძეს, მარიამ ყაუხჩიშვილს, ქრისტინე შარაშიძეს. თემატიკის შეთანხმება უნდა მოხდეს „შემსყიდველთან". 2019 წლის 2 მაისი, დრო "შემსყიდველთან" შეთანხმებით. | 4 პირი | 600 | 2400 |
| 7 | სპიკერის მომსახურება - დავით ტურაშვილი | უნდა უზრუნველყოს ქალაქობის დღესასწაულის საზეიმოდ სიტყვით გახსნა. სპიკერი უნდა იყოს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართველი მწერალი მამაკაცი ან ქალი, ასაკი - 30-დან 75 წლამდე. 2019 წლის 2 მაისი, ტექსტის შეთანხმება უნდა მოხდეს შემსყიდველთან | 1 პირი | 400 | 400 |
| 8 | ქართველი მწერლების მოწვევა 1. დავით გაბუნია; 2. დიანა ანფიმიადი; 3.ლია ლიქოკელი; 4. ნესტან კვინიკაძე)) | პოპულარული ქართველი 4 მწერლის მომსახურება. თითოეულმა მწერალმა უნდა შექმნას ჩანახატი ქუთაისზე და წარმოადგინოს ლიტერატურული პერფომანსი შემსყიდველის მიერ მითითებულ ლოკაციაზე. პერფომანსის ხასიათის და ხანგრძლივობის შეთანხმება უნდა მოხდეს შემსყიდველთან.. 2019 წლის 2 მაისი. ასაკი 25-დან 60 წლამდე. | 4 პირი | 600 | 2400 |
| 9 | დიდი ზომის წიგნების ბუტაფორიების დამზადება | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე. მყარი მასალა, ,,დსპ" ფილა, არალამინირებული, არანაკლებ 6მმ, ბუტაფორია უნდა იყოს გამაგრებული მეტალის კონსტრუქციით, ზომა არანაკლებ 3მX1,50X0,60სმ - 6 ცალი, წიგნებზე უნდა განთავსდეს წარწერები შემსყიდველთან შეთანხმებით, შეღებილი ყავისფერ ტონალობებში, ტონალობები დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით (მაქსიმალურად მიახლოებული ესკიზთან, იხ.ესკიზი N1). დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 3 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე | 6 ცალი | 250 | 1500 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10 | დროშების დამზადება | დროშების დამზადება და განთავსება შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 1 მაისს (მასალა, გარემოხმარების სადროშე ზადექსოვილი ცალმხრივი ბეჭდვა, ირგვლივ დამუშავებული გვირისტებით, დროშის ზედა ნაწილი ბაგირისათვის უნდა იყოს არაუმეტეს 1,50სმ, დროშის ზომა 0,80სმX1.20სმ - რაოდენობა არანაკლებ 80 ცალი. ბაგირის სისქე არანაკლებ 2 სმ., ბაგირის საერთო სიგრძე არანაკლებ 100მ. (იხ.ესკიზი N2) დიზაინი დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით. დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 5 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე | 80 ცალი | 35 | 2800 |
| 11 | ქალის ფიგურის სილუეტის დამზადება | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე. ქაფმუყაოზე ამოჭრილი ქალის ფიგურის სილუეტი გადაკრული გლუვი სტიკერით, ორმხრივი ბეჭდვა. სტიკერის რაოდენობა 20 ცალი, სილუეტის რაოდენობა 10 ცალი, შემოსაზღვრული ლითონის მავთულებით, თითეული ფიგურის სიმაღლე არანაკლებ 1,70X45სმ, თითოეული ფიგურა უნდა იყოს გამაგრებული მეტალის კონსტრუქციით, დიზაინი დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით, მაქსიმალურად მიახლოებული ესკიზთან (იხ.ესკიზი N3). დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 3 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე | 10 ცალი | 200 | 2000 |
| 12 | ჩარჩოს დამზადება | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე. ჩარჩო - დეკორატიული, რაოდენობა 1 ცალი, მასალა ხე, ტონალობა დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით, გლუვი ფერი, არანაკლებ 1,80სმX1,60X20 სმ; (იხ.ესკიზი N4) დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 3 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე | 1 ცალი | 250 | 250 |
| 13 | ქაფმუყაოზე გადაკრული სტიკერების ბეჭდვა | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე. ქაფმუყაოზე გადაკრული სტიკერი - ფორმატი - A1, სისქე - 5 მმ. , რაოდენობა - 15 ცალი, განთავსება (თოკებით დაკიდება) - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე.<br>-დასაბეჭდი მასალის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მიერ. დასაბეჭდი მასალის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მიერ დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 2 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. | 15 ცალი | 200 | 3000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე. ქაფმუყაოზე გადაკრული სტიკერი - ფორმატი - A2, სისქე - 5 მმ. , რაოდენობა - 5 ცალი, განთავსება (თოკებით დაკიდება) - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე -დასაბეჭდი მასალის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მიერ. დასაბეჭდი მასალის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მიერ. დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 2 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. | 5 ცალი | 200 | 1000 |
| 14 | ლიანდაგის დამზადება | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე. ლიანდაგის იმიტაცია - მუქ ყავისფერ ტონალობაში შეფერილი ხის ფიცრები, ლიანდაგის მთლიანი სიგრძე არანაკლებ 8მ, ფიცრის ზომა არანაკლებ 0,30სმX1,20მ; ლითონის მილკვადრატების (ზომა შემსყიდველთან შეთანხმებით) მთლიანი სიგრძე არანაკლებ 8მ, (ესკიზი N5) დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 2 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე | 1 ცალი | 300 | 300 |
| 15 | ბანერის დამზადება | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე.ბანერი რეტრო ორთქლმავლის გამოსახულებით 4-ად დანაწევრებული, მასალა ვინილი, არანაკლებ 380 გრამი, ფერადი ბეჭდვა, სრულფერიანი, დამაგრებული ხის ჩარჩოებზე, ზომები (7მX1,50მ- რაოდენობა 2; 5მX1,50მ - რაოდენობა 2). დიზაინი დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით, შეთანხმებით, (ესკიზი N6) დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 2 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. | 4 ცალი | 200 | 800 |
| 16 | ბანერის დამზადება | დამზადება და განთავსება უნდა მოხდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ სივრცეში არაუგვიანეს 2019 წლის 2 მაისის 08:00 სთ-მდე. ბანერი ლენტის ფორმის დეკორაციის ფორმით, მასალა ვინილი, არანაკლებ 380 გრამი, ფერადი ბეჭდვა, სრულფერიანი, რაოდენობა 60 ცალი, 3მX30სმ, თოკისთვის განკუთვნილი ზედა მხარე დამუშავებული გვირისტით (ზომა არანაკლებ 1 სმ); წვრილი თოკი, საერთო სიგრძე არანაკლებ 100 მეტრი, ბანერების განთავსება შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე, მასალა დიზაინი დიზაინერთან და შემსყიდველთან შეთანხმებით (ესკიზი N 7) დემონტაჟი და დასაწყობება უნდა მოხდეს 2019 წლის 2 მაისს შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. | 60 ცალი | 90 | 5400 |
| 17 | ბოლის მანქანა | არანაკლებ 1000 W, 1 ცალი, 2019 წლის 2 მაისი | 1 დღე | 250 | 250 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | გახმოვანების აპარატურით მომსახურება | მუსიკალური გაფორმება - 1-2 კვტ. სიმძლავრის აპარატურა, სიხშირული დიაპაზონი - 50 ჰერციდან 18 კილოჰერცამდე, შესაბამისი აღჭურვილობით, არანაკლებ 2 მიკროფონი, ხმის რეჟისორის მომსახურება - რაოდენობა 4 ლოკაცია, 2019 წლის 2 მაისი | 4 ლოკაცია | 200 | 800 |
| 19 | საჰაერო შოუს მსახიობების მომსახურება | საჰაერო შოუს მსახიობების მომსახურება 2 პერსონა, შესაბამისი ჩაცმულობით, თოკებით და სხვადასხვა ფერის კვამლით. 2019 წლის 2 მაისი. მინიმუმ 10 წთ-იანი შოუს მოწყობა. | 1 დღე | 3000 | 3000 |
| 20 | პროექტორით ანიმაციური ვიდეორგოლის ჩვენება-გახმოვანება | ვიდეორგოლის მახასიათებლები- მაღალი ხარისხის ვიდეო ინფო გრაფიკები, რგოლი უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ სრულყოფილ ვიდეოს, რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. ვიდეოს გამოყენება უნდა მოხდეს ხმით, ვიდეო უნდა იყოს full HD გაფართოების MPEG4 ფორმატში. შესაძლებელი უნდა იყოს მოთხოვნის შესაბამისად სხვა ფორმატში კონვერტირება. ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წთ - არაუმეტეს 5 წთ, ვიდეორგოლის თემატიკა შემსყიდველთან შეთანხმებით. 2019 წლის 2 მაისი | 1 დღე | 200 | 200 |
| 21 | პროექტორით მომსახურება | პროექტორის ტექნიკური მახასიათებლები:<br>ჩიპის რეზოლუცია 1.024X768 ან 1.400X1.050 pixel ნათების სიმძლავრე მინიმუმ 20.000 - 30.000 luminance, კონტრასტულობა 10.000:1, ოპტიკა (2.5:5.1:1) ან ზემოთ. 2019 წლის 2 მაისი | 1 დღე | 100 | 100 |
| 22 | 3 განზომილებიანი (3D) ჰოლოგრამული გამოსახულების კომპიუტერული პროგრამის დამზადება და პროგრამულად გამართვა | 3 განზომილებიანი (3D) ჰოლოგრამული გამოსახულების კომპიუტერული პროგრამის დამზადება და პროგრამულად გამართვა. ტექნიკური მახასიათებლები: მონიტორი (4 ცალი) მაღალი რეზოლუციით და სიკაშკაშით); კომპიუტერი მაღალი გრაფიკული მხარდაჭერით (1 ცალი), გაჯეტები (სპლიტერი, ქასთი, დატა სადენები) შესაბამისი რაოდენობის, სპეც.განათება (5ცალი), აკრილი გამჭვირვალე 10 კვ.მ; სპეც.მინა 8კვ.მ; კარკასი 30 გრძივი მეტრი. სინათლეგაუმტარი ქსოვილი, პრიალა, ფერი შავი, 6მX6მ ტენტზე განსათავსებლად. 2019 წლის 2 მაისი. ადგილი შემსყიდველთან შეთანხმებით | 1 დღე | 3000 | 3000 |
| 23 | 20 გიმნაზისტი გოგონასთვის მოსასხამებისა დამზადება | მასალა - თეთრი ატლასი, მოსასხამის დიამეტრი - 85 სმ, ბოლოები უნდა იყოს დამუშავებული ირიბი ატლასის ლენტით | 20 ცალი | 200 | 4000 |
| 24 | 20 გიმნაზისტი გოგონასთვის ბაფთების დამზადება | ბაფთების სიგრძე - არანაკლებ 20 სმ-სა, დასამაგრებლად უნდა იყოს გამოყენებული თმის სარჭი | 20 ცალი | 10 | 200 |

| | | |
|---|---|---|
| სულ ჯამი | | 40500 |

ნიმუშის ესკიზი №1






დროშების ესკიზი №2






ფემინისტური ესკიზი №3







ჩარჩოს ესკიზი №4



ლიანდაგის ესკიზი №5





მატარებლის ესკიზი №6





ლენტერის ესკიზი №7




